

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

06.07.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №60

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „ცენტრალური სტადიონი“, „ზუგდიდდასუფთავება“, „ჩიორა“ და „ზუგდიდის მექანიკური კომბინატი“ ლიკვიდაციის განხორციელებისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 106<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მაისის №02/5985 წინადადების საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია თანხმობა მისცეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ლიკვიდაცია შპს-ებში „ცენტრალური სტადიონი“, „ზუგდიდდასუფთავება“, „ჩიორა“ და „ზუგდიდის მექანიკური კომბინატი“.
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი



ბესიკ ჭეჭია